Fungizid

ფუნგიციდის და ალგიციდის სპეციალური კონცენტრატი დანამატის სახით.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

სპეციალური დანამატი კაპაროლის ყველა ფასადის საღებავისთვის, რომელიც დაფუძნებულია დისპერსიაზე, სილიკატზე და სილიკონის ფისზე. იცავს ზედაპირზე სოკოვანი დაბინძურების და წყალმცენარეების წარმოქმნისგან. Fungizid-ი ასევე შესაძლებელია დაემატოს/გაერიოს CapaGrund Universal-ს. დანამატი უზრუნველყოფს საიმედო დამცავ ეფექტს, წყალმცენარეებისა და ობის ზრდის წინააღმდეგ.

შეფუთვა

250 მლ

ფერი

ნახევრად გამჭირვალე, მოყვითალო.

Fungizid-ის ბოთლის დამატებამ შესაძლოა გამოიწვიოს ფერის უმნიშვნელო გადახრები სველ მდგომარეობაში. ეს გადახრები ძნელად შასამჩნევია შრობის პროცესში.

შანახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმკვრივე: დაახლ. 1,0 გ/სმ3

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
–	–	–	+	+
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

დატანის მეთოდები

ზედაპირი უნდა მომზადდეს ხსნარის დასატანი მოთხოვნების შესაბამისად და დაცული უნდა იქნას ფასადის საფარის დამუშავების ინსტრუქციები, რომელიც გამოიყენება თითოეულ შემთხვევაში, Fungizid-ის დამატებისას. დაბინძურებული ზედაპირი (სოკო, ობი, წყალმცენარეები) მოიწმინდოს წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, ნორმების შესაბამისად. მცენარეული მტვერი და სხვა ნაწილები ზედაპირს მოშორდეს მექანიკური საშუალებებით. გაწმენდილი ზედაპირები წინასწარ უნდა დამუშავდეს Capatox-ით ან FungiGrund-ით და კარგად გაშრეს. აქტიური ნივთიერებების შემცველი პროდუქტების დატანა ყოველთვის ხდება 2 ფენად.

ხარჯი

თითოეულ კონტეინერს (12,5 ლ) ემატება ერთი ბოთლი (250 მლ) Fungizid-ი.
ეს შეესაბამება დაახლოებით 2% Fungizid-ის კონცენტრაციას.

შეფერადებული ფასადის პროდუქტების შემთხვევაში, Fungizid-ი დაამატეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც პროდუქტი მთლიანად შეფერილი და შერეულია.

CAPAROL

გამოყენების პირობები	**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:** ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს: მინ. + 5° C და მაქს. + 30°C
შენიშვნა	Fungizid-ი არის პროდუქტი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური აქტიური ნივთიერებებით, ფასადებზე სოკოსა და წყალმცენარეების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. აქტიური ნივთიერებების ეს დეპო გთავაზობთ დაცვას შეზღუდული დროის განმავლობაში, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ფასადის გარემო პირობებზე, როგორიცაა: ინფიცირების სიმძიმე და ტენიანობის დატვირთვა. ამიტომ სოკოს, ობის და წყალმცენარეების ზრდის/წარმოქმნის სამუდამო პრევენცია შეუძლებელია.

მითითებები

უსაფრთხოების ნორმები	**საფრთხე:** შესაძლოა გამოიწვიოს კანის ალერგიული რეაქცია. ძალიან საზიანოა წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზემოქმედებით. ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ პროდუქტის შეფუთვა ან ეტიკეტი. მოარიდეთ ბავშვებს! არ დაუშვათ თვალებში, კანზე ან ტანსაცმელზე მოხვედრა. არ დაუშვათ გარემოში ან ნიადაგში მოხვედრა. მუშაობისას გამოიყენეთ დამცავი ხელთათმანები/სათვალეები. **შეიცავს:** ოქტილინონი (ISO), ტერბუტრინი. პროდუქტი ექვემდებარება რეგულაციებს: ბიოციდური პროდუქტების შესახებ (EU) 528/2012. BAuA ნომერი: N-103143. ბიოციდის ტიპი: PT 7 დამცავი საფარი. ვარგისიანობის ვადა: დაიცავით ეტიკეტის მითითებები. აქტიური ნივთიერებები: ტერბუტრინი (5,8 გ/ლ), ოქტილინონი (ISO) (9,8 გ/ლ), სიფრთხილით გამოიყენეთ ბიოციდური პროდუქტები.
უტილიზაცია	მასალა და ყველა მასთან დაკავშირებული შეფუთვა უნდა განადგურდეს უსაფრთხოდ, ადგილობრივი ხელისუფლების ყველა მოთხოვნის შესაბამისად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნარჩენების გატანას სამუშაო სივრციდან, სტანდარტული სამშენებლო პროცედურების შესაბამისად.
VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)	RL 2004/42/EG: ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. 1 გ/ლ VOC-ს.
პროდუქტის კოდი	Giscode: BSW50
შემადგენლობა	ნივთიერებების დეკლარაცია VdL 01-ის მიხედვით: წყალი, დანამატები, კონსერვანტები.
ტექნიკური კონსულტაცია	მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge